

ფინანსური და საოპერაციო ანგარიში

წლიური მაჩვენებლები
2021 წ., 2022 წ. და 2023 წ.

DENTONS

შპს დენტონს საქართველო

პეტრე მელიქიშვილის გამზირი N8ა
თბილისი 0179
საქართველო

ტ: +995 32 2509 300

tbilisi@dentons.com

ზოგადი მიმოხილვა და ინფორმაცია

კომპანია და საქმიანობა

შპს დენტონს საქართველო (შემდგომში „კომპანია“) არის იურიდიული კომპანია, რომლის საქმიანობას წარმოადგენს იურიდიულ/სამართლებრივი კონსულტაციებისა და კვლევების გაწევა, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოური იურიდიული და ფიზიკური პირებისთვის.

კომპანიის საქმიანობა მოიცავს შემდეგ ძირითად მიმართულებებს/სფეროებს:

- კორპორატიული/საბანკო/საფინანსო სამართალი;
- სასამართლო დავები;
- კონკურენციის სამართალი
- შრომითი სამართალი;
- უძრავი ქონება/სამშენებლო სექტორი;
- ენერგეტიკა;
- ინტელექტუალური საკუთრება;
- საგადასახადო/საბაჟო სამართალი;
- და ა.შ.;

სრული სახელწოდება: შპს დენტონს საქართველო
სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო კოდი: 405187710
მუშაობის დაწყების თარიღი: 2017 წლის მაისი
დღგ-ს გადამხდელი: კი

საკადრო ინფორმაცია

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიაში დასაქმებულია 100% წარმოადგენს უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტებს და მოცემული თარიღისთვის მათ აქვთ უვადო შრომითი ხელშეკრულებები. თანამშრომელთა რაოდენობა 2021 წლის ბოლოს იყო 17 ადამიანი - (65% ქალი; 35% კაცი) ხოლო 2022 წლის ბოლოს 16 ადამიანი - (63% ქალი; 37% კაცი), დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ ცხრილში:

	2023 წ.			2022 წ.	2021 წ.
	ქალი	კაცი	სულ	სულ	სულ
მენეჯმენტი	0	2	2	2	2
იურისტები	6	2	8	8	9
ადმინისტრაცია	4	2	6	6	6
სულ:	10	6	16	16	17



ფინანსური უწყისები

საბალანსო უწყისი

თანხა: ლარი	კომენტარი	2023 წ. 31 დეკემბერი	2022 წ. 31 დეკემბერი	2021 წ. 31 დეკემბერი
აქტივები		2,502,235	2,894,250	4,744,466
ფული და ფულის ეკვივალენტები	BS-01	939,351	1,359,192	2,497,858
სავაჭრო მოთხოვნები	BS-02	1,423,409	1,503,652	2,190,028
გადახდილი ავანსები	BS-03	20,389	5,504	9,265
ძირითადი საშუალებები	BS-04	119,086	25,902	47,315
ვალდებულებები		19,442	41,143	632,175
სავაჭრო ვალდებულებები	BS-05	6,716	27,780	601,647
საგადასახადო ვალდებულებები		1,276	2,056	3,041
გამოუმუშავებელი შემოსავალი	BS-06	11,450	11,307	27,487
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		0	0	0
საკუთარი კაპიტალი	BS-07	2,482,793	2,853,107	4,112,291
საწესდებო კაპიტალი		1,000	1,000	1,000
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი		2,852,107	4,111,291	3,286,179
გადაფასების რეზერვი		21,515	0	0
განაწილებული დივიდენდი		-102,990	-748,772	-400,454
მიმდინარე პერიოდის მოგება / ზარალი		-288,839	-510,412	1,225,566

საბალანსო უწყისის კომენტარები

BS-01: ფული და ფულის ეკვივალენტი -

კომპანია ოპერირებს მხოლოდ უნაღდო ანგარიშსწორების გზით და ფულადი სახსრების ბრუნვის 100% მოდის საბანკო ოპერაციებზე. კომპანიას ანგარიშ(ებ)ი აქვს გახსნილი მხოლოდ ერთ ბანკში (სს თიბის ბანკში), სადაც ფლობს ანგარიშებს შემდეგ ვალუტებში: ლარი, დოლარი, ევრო და ფუნტი. სხვა ისეთი მაღალ ლიკვიდური აქტივები, როგორიცაა აქცია, ობლიგაცია, და ა.შ. - კომპანიას არ გააჩნია. ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნაშთები შესაბამის ვალუტაში:

	ბალანსი ვალუტაში	ეკვივალენტი ლარში
2023 წ. 31 დეკემბერი		
ფულის ნაშთი - ლარი	273,399	273,399
ფულის ნაშთი - აშშ დოლარი	234,751	631,339
ფულის ნაშთი - ევრო	5,198	15,467
ფულის ნაშთი - ფუნტი	5,638	19,146
		939,351



BS-02: სავაჭრო მოთხოვნები -

კომპანიის სავაჭრო მოთხოვნები იყოფა ორ ძირითად ნაწილად: ა). დენტონსის მიერ გამოქვეყნებული მომსახურების თანხები და ბ). დიელეი პაიპერისაგან აქტივების მიწოდებით წარმოშობილი სავაჭრო მოთხოვნები, დეტალები წარმოდგენილია ცხრილში:

2023 წ. 31 დეკემბერი	ლარი
დენტონსი	1,070,713
დიელეი პაიპერი	352,696
	1,423,409

BS-03: გადახდილი ავანსები -

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას გააჩნია ბიუჯეტში ზედმეტად გადახდილი დღგ (დამატებული ღირებულების გადასახადი).

BS-04: ძირითადი საშუალებები -

კომპანიას ძირითადი საშუალებები იყოფა ხუთ ძირითად ჯგუფად. ამორტიზაციის დარიცხვას კომპანია ახორციელებს წრფივი მეთოდით, დეტალები წარმოდგენილია ცხრილში:

2023 წ. 31 დეკემბერი	ამორტიზ. ნორმა (%)	შეძენის ღირებულება	აკუმულირებული ამორტიზაცია	გადაფასება	საბალანსო ღირებულება
სატრანსპორტო საშუალება	20%	6,456	(6,456)	21,515	21,515
ავეჯი	20%	27,348	(25,871)	0	1,477
კომპიუტერები	20%	170,194	(93,964)	0	76,230
აიტი მოწყობილობები	20%	28,143	(19,652)	0	8,491
ოფისის აღჭურვილობა	15%	22,578	(11,205)	0	11,373
		254,719	(157,148)	21,515	119,086



BS-05: სავაჭრო ვალდებულებები -

2023 წლის ბოლოს ნაშთი, 6 ათას 700 ლარი, არის მიმდინარე ვალდებულებების ნაწილი, რომელიც შეადგენს სხვადასხვა მიმდინარე წვრილ საოპერაციო ვალდებულებებს.

BS-06: გამოუმუშავებელი შემოსავალი -

აღნიშნული მუხლი მოიცავს 5 კლიენტის მიერ ავანსად გადახდილ თანხებს.

BS-07: საკუთარი კაპიტალი -

2023 წელს კომპანიის ზარალმა შეადგინა 288,839 ლარი. რაც შეეხება საწყის საწესდებო კაპიტალს, მისი ოდენობა შეადგენს 1,000 ლარს, დეტალები წარმოდგენილია ცხრილში:

2023 წ. 31 დეკემბერი	ლარი
საწესდებო კაპიტალი	1,000
გაუნაწილებელი მოგება	2,852,107
ძირ. საშუალებების გადაფასების რეზერვი	21,515
განაწილებული დივიდენდი	(102,990)
მიმდინარე პერიოდის მოგება / ზარალი	(288,839)
	2,482,793



მოგება-ზარალის უწყისი

თანხა: ლარი		კომენტარი	2023 წ. 31 დეკემბერი	2022 წ. 31 დეკემბერი	2021 წ. 31 დეკემბერი
შემოსავლები			3,601,063	3,546,490	5,280,149
გაწეული მომსახურება	PL-01		3,601,063	3,546,490	5,280,149
საოპერაციო ხარჯები			-3,889,902	-4,056,902	-4,054,583
დასაქმებულთა ანაზღაურება			-2,484,774	-2,742,915	-2,880,474
ცვეთა და ამორტიზაცია			-18,082	-24,688	-32,377
საპროცენტო ხარჯი			0	0	0
იჯარის ხარჯი	PL-02		-222,781	-216,033	-227,195
სხვა აღმინ. და საოპერაციო ხარჯი	PL-03		-1,164,265	-1,073,266	-914,537
საოპერაციო მოგება			-288,839	-510,412	1,225,566
სხვა შემოსავლები და ხარჯები			0	0	0
სხვა შემოსავლები / ხარჯები				0	0
მოგების გადასახადი				0	0
სუფთა მოგება / ზარალი			-288,839	-510,412	1,225,566



მოგება-ზარალის უწყისის კომენტარები

PL-01: შემოსავლები გაწეული მომსახურებიდან -

აღნიშნული მუხლი მოიცავს მხოლოდ კომპანიის ძირითადი საქმიანობიდან (იურიდიული კონსულტაციებიდან) გამომდინარე შემოსავალს. კომპანიის შემოსავლების სტრუქტურა იყოფა ორ ძირითად ნაწილად: ა) დღგ-ით დასაბეგრი ბრუნვა; და ბ). დღგ-საგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლებული ბრუნვა - საიდანაც უმეტესი ნაწილი (58%) მიეკუთვნება დღგ-საგან ჩათვლის უფლებით განთავისუფლებულ ბრუნვას, დეტალები წარმოდგენილია ცხრილში:

2023 წ. 31 დეკემბერი	პროცენტული თანაფარდობა	შემოსავალი ლარში
დღგ-ით დასაბეგრი	42%	1,512,446
დღგ-საგან გათავისუფლებული	58%	2,088,617
		3,601,063

PL-02: იჯარის ხარჯი -

კომპანიას იჯარით აქვს აღებული საოფისე ფართი (ჯამში 453.10 კვ. მ.) და 1 მ2-ში იხდის 16 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარებში (დღგ-ს ჩათვლით).



PL-03: სხვა ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები -

დეტალები წარმოდგენილია ცხრილში:

თანხა: ლარი	2023 წ. 31 დეკემბერი
კლიენტის ხარჯები	37,641
მივლინება	20,850
ტრენინგი/კონფერენცია	1,606
DES ხარჯები	784,667
საწევრო	9,413
კომუნალური	10,026
ბანკის მომსახურება	3,663
საკანცელარიო	777
ოფისის მოვლა-დასუფთავება	36,380
ჟურნალ-გაზეთები	6,426
საკომუნიკაციო ხარჯი	31,504
ტრანსპორტირების ხარჯი	17,848
IT ხარჯები	45,808
დაზღვევა	60,152
საკურიერო მომსახურება	3,537
გადასახადები	39,353
წარმომადგენლობითი ხარჯები	2,714
კონვერტაცია	4,934
პერსონალზე გაწეული ხარჯები	35,537
სხვა ხარჯები	11,429
	1,164,265



ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი

თანხა: ლარი	2023 წ. 31 დეკემბერი	2022 წ. 31 დეკემბერი	2021 წ. 31 დეკემბერი
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-227,099	-386,619	1,364,315
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-111,266	-3,275	-4,239
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	-81,476	-748,772	-400,454
წმინდა ზრდა (კლება)	-419,841	-1,138,666	959,622
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	1,359,192	2,497,858	1,538,236
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	939,351	1,359,192	2,497,858

ანგარიშგება შედგენილია
კომპანიის ფინანსური დირექტორის
ლ. პაიჭაძის მიერ

